# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 647

"20" დეკემბერი 2024 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზ. №24ა-ში მდებარე №17 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.217.01.01.017) და ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზ. №9გ-ში მდებარე №161 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.17.12.003.170.01.01.161) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, $118^{1}$ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი №24ა-ში მდებარე №17 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.217.01.01.017) და ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №9გ-ში მდებარე №161 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.17.12.003.170.01.01.161) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 27 ნოემბრის №24.1994.2245 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზ. №24ა-ში მე-3 სართულზე მდებარე 73.60 კვ.მ. ფართობის №17 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.217.01.01.017) და ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზ. №9გ-ში მე-14 სართულზე მდებარე 48.60 კვ.მ. ფართობის №161 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.17.12.003.170.01.01.161) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით ნათია ღუდუშაურისთვის (პ/ნ. 01009008447), ლევან გელაშვილისთვის (პ/ნ. 01008059613) და ნინო გელაშვილისთვის (პ/ნ. 01008059612) თანასაკუთრებაში გადაცემაზე, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე